№ 119
ოთხშაბათი, 8 ივნისი 1894

1877—1894

ივერია

№ 119
ოთხშაბათი, 8 ივნისი 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვგამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასაზლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

ფასი გაზეთისა:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

კნეინა მარიამ გაბრიელის ასული, კნიაზნა მაკრინე გიორგის ასული ფავლენიშვილისანი გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ქრისის და მეორე—ძმისას, **თავადის მიხეილ გიორგის ძის ფავლენიშვილისას** და სთხოვენ მობძანდნენ გასასვენებლად გვამისა მისისა 8-ს ამ თვეს, $9^1/_2$-ს საათზედ, თავად ჩერქეზიშვილის სახლიდგან, №-6, რომელიც იმყოფება ალექსეევის ქუჩაზედ, ჩუღურეთის წმიდის ნინოლოოზის ეკკლესიაში. (1—1340—1)

ჭნეინა მართა ათანასეს ასული, ბარბარე მიხეიდის ასული და გიორგი მიხეიდის შე მეღიქაშვიდნი, მარიამ მიხეიდის ასული და ანდრეა ბესარიონის ძე დოდობერაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი ქრმისას, მეორენი მამისას და უკანასკნელი სიმამრისას თავადის **მიხეიდ ივანეს ძის მეღიქაშვიდისას** და სთხოვენ მობრძანდენენ ამ ივნისის 8-სა სოფ. სადახლოს, ბორჩალოს მაზრაში, საიდგანაც მიცვალებულის გვამი განსვენებულ იქმნება საგვარეულო ახტალის ტაძარში. (1—1348—1)

ჩემს ახლად დაარსებულ

ღვინის საწარმოში

(ტოლოვინის პროსპექტი და კრუზენშტერნის ქუჩა, სახლი დობრაკანსკისა № 1 დ 18)

ისყიდება ნამდვილი კახური ჩემისავე საკუთარის ვენახების ღვინოები, სოფ. ყვარლისა და რუისპირიდგან ჩამოტანილი. დავაარსე იმ აზრით, რომ როგორც ადგილობრივ, ისე კავკასიის გარეშეც გატანილ იქმნას და გავრცელდეს ნამდვილი, შეუერეველი კახური ღვინო. ღვინო ისყიდება ნარდადაც და ფვრილ-ფვრილადაც.

ბოთლი ღვინო ჰღირს 15 კაპ. 60 კაპიკამდე, ვედრო თერთმეტ აბაზიდგან რვა მანეთამდე.

თავ. გიორგი მეღქასედგელის ძე ჯაჯანავაძე
(6—1324—1)

ფელეტონი

ძაჯი-ძეგნია

(ნამდვილი ამბავი)

ჯერ სულ ახალგაზდა ქალი იყო თინია, როდესაც დაქორწდა და ერთი ხუთის წლის ვაჟის მეტი, არავითარი ნუგეში აღარ გააჩნდა.

იმ სოფელში, სადაც თინია სცხოვრობდა, კარგი მოსავალი მოდიოდა ღვინისა და სიმინდისა; ამიტომ ერთმა ახლად ჩამოსულმა ფრანგმა არაყის სახდელი ქარხანა გაჰპართა, სადაც სხვა მუშებთან ერთად, თინიას ქმარი და სამიც სხვა მისი მოგვარენი მუშაობდნენ.

პეტრე-პავლობის მარხვა იყო, როდესაც მთელის სოფლის შემზარავი ამბავი მოხდა. ერთს საღამოს, როდესაც მუშაობაზე ხელი აიღეს, ოთხმაე ბიძაშვილმა შესწვეს ფარგა, ივან'შმეს და მარიელიან საშმლით მოწყურებულები, მადიანად დაეწაფნენ ახლად გამოხდილ თბილ არაყს. არაყის სმის უჩვეე გლეხების სტომაქზე ისე იმოქმედა ამ უზომო სასმელმა და, მასთან ნაკვერჩხლებზე გახუხულმა თევზმა, რომ, სამის დღის განმავლობაში ოთხივე ბიძაშვილები გარდაიცვალნენ. ამ ამბავს უყურადღებოდ არ ჩაუვლია, მრავალ-ნაირი ექვი აღძრა ხალხში, რის გამოც იმ კვირასვე მოიყვანეს მაზრის ექიმი, რომელმაც გასჭრა მიცვალებულთა გვამი და შეამოწმა, რომ ამათი სიკვდილის მიზეზი არაყი ყოფილაო.

ყველაზე უფრო ცუდს მდგომარეობაში საცოდავი თინია ჩავარდა. სხვებს ზოგს მოსწრებული შვილები დარჩა, ზოგიც მაზლთან გაუყოფელი იყო, თინია-კი მარტოდ-მარტო ხუთის წლის ბავშვის ანაბარად დარჩა, მაგრამ მხნე და შრომის მოყვარე დედაკაცმა, ჩინებული უნარი გამოიჩინა, როგორც შვილის მოვლისა, ისე დაცემულ ოჯახის აღდგენისა; არც ბატონთან შეურცხვენია თავი „ნადელის“ გადაუხდელობით და, არც ვისმეს ახსოვდა, რომ სოფლის მოხელეებს თინიას სახლიდგან ქვაბი, თუნგი, ან სხვა რამ ოჯახის ავეჯი გამოეტანოთ და სახელმწიფო ბეგარის ფულისათვის გაეყიდოთ. მიწის მომუშავე არავინა ჰყავდა თინიას, მაგრამ ტკბილის სიტყვით და კარგის მასპინძლობით, რამდენსაც მოისურვებდა, იმდენს ნადს იშოვიდა, და საქმე იოლად მიჰყავდა; თითონაც თავს არ იზოგავდა საწყალი დედაკაცი, ჩასდგებოდა ჰპპანაქება სიცხეში და ჰმარგლიდა ეზოში დათესილ სიმინდს.

კარგის დედაკაცობით ისეთი სახელი გაითქვა თინიამ, რომ ბევრი საქმრო გამოუჩნდა, შუამავლები ხშირად მოსდიოდნენ, მაგრამ ყველას გადაეჩიოლ ცივს უარს ეუბნებოდა. თინიას შერთვას, უფრო დაეინებული და მონდომებული იყო ამავე სოფლის გლეხი ნიკოლოოზა. არავითარი უარი თინიას მასთან არ გაუვიდა, ის მაინც თავისას არ იშლიდა და ხან ერთ მაჭანკალს შეუჩენდა ხან, ხან მეორეს.

ერთ დილას თინია ჩვეულებრივად ადრე ადგა, წვრილ-ფეხსა და სხვა საქონელს საკენკი მისცა და შემობრუნდა სახლში, რომ შვილისათვის საუზმე დამზადებინა; მივიდა თანოსთან, ფათურებდა და ამ დროს ვიღაცამ დილამშვიდობის შემოიძახა კარებიდან.

— ოჰ, შენ ხარ მარიამა, რა ადრე ამდგარხარ, მე მეგონა ჩემზე ადრე არავინ ამდგარა, უთხრა თინიამ ახლად შემოსულ სტუმარს, რომელიც სხვა მახლობელ სოფელთაგანი იყო.

— ბეჩა თინია, შენ გგონია სახლიდან მოვდივარ? წუხელის ამავე სოფელში ვიყავი ჩემი მოყვარე კაცისას, ღიმილით მიუგო მარიამამ.

— ჰოო, მე მეგონა სახლიდან მოდიხარ; მეც არ გამიკვირდა ასე ადრე საიდგან გაჩნდი! რაღაც უსიამოვნებით მიუგო თინიამ და კი არ ჰკითხა სად იყო წუხელის.

— გათენება აღარ დამაცალა ნიკოლოზამ, ისე გამომაგდო აქეთკენ, განაგრძო მარიამამ—მთელი ღამე იმას მეჩიჩინებოდა ამას წინად რომ გითხარი... არა, მაინც რა კერპი ხარ თინია, შენი საქმე მიკვირს; რას უწუნებ ამ კაცს, რომ არ ვიცი!?

— არაფერს არ ვუწუნებ, მაგრამ არ მინდა გათხოვება და ამიტომ ნიკოლოზამ-კი არა, დადიანმაც რომ მომინდომოს, მაინც არ წავყვები. წარბ-შეყრით უთხრა თინიამ.

— რატომ არ გინდა, აბა ეს გირჩევნია, რომ ასე ჯახირობ? ჭკვიან ქალს გეძახიან ჩემო თინია, მაგრამ ამ საქმეში ვერ იჩენ ჭკუას. გუშინწინაც გითხარი და ახლაც გეტყვი, რომ ნიკოლოზას შენზე უფრო კი ძლობით, რამდენსაც მოისურვებდა, იმდენს ნადს იშოვიდა, და საქმე იოლად მიჰყავდა; თითონაც თავს არ იზოგავდა საწყალი დედაკაცი, ჩასდგებოდა ჰპპანაქება სიცხეში და ჰმარგლიდა ეზოში დათესილ სიმინდს.

კარგის დედაკაცობით ისეთი სახელი გაითქვა თინიამ, რომ ბევრი საქმრო გამოუჩნდა, შუამავლები ხშირად მოსდიოდნენ, მაგრამ ყველას გადაეჩიოლ ცივს უარს ეუბნებოდა. თინიას შერთვას, უფრო დაეინებული და მონდომებული იყო ამავე სოფლის გლეხი ნიკოლოოზა. არავითარი უარი თინიას მასთან არ გაუვიდა, ის მაინც თავისას არ იშლიდა და ხან ერთ მაჭანკალს შეუჩენდა ხან, ხან მეორეს.

ერთ დილას თინია ჩვეულებრივად ადრე ადგა, წვრილ-ფეხსა და სხვა საქონელს საკენკი მისცა და შემობრუნდა სახლში, რომ შვილისათვის საუზმე დამზადებინა; მივიდა თანოსთან, ფათურებდა და ამ დროს ვიღაცამ დილამშვიდობის შემოიძახა კარებიდან.

— ოჰ, შენ ხარ მარიამა, რა ადრე ამდგარხარ, მე მეგონა ჩემზე ადრე არავინ ამდგარა, უთხრა თინიამ ახ-

ქალები ეძლევა, მაგრამ იმ შავი დღისას, შენ ჩავარდნიხარ გულში, თორემ გასათხოვარიც ბევრი ნდომულობს და ქვრივიც. შე დალოცვილო რა თავადიშვილის ქალი შენა ხარ, რომ ასე გაიძვერე საქმე. ღმერთს ბედი მოუცია და შენ მოხმარება არ იცი. თუ იმას ამბობ, გერები დამიხვდებიო, შენც ქე გაყავს შვილი, მაგრამ იმითი-კი არ გიწუნებენ! შეაფურთხე ეშმაკს და წაყევი ნიკოლოზას, თორემ იმის ცოდვით კაი არ დაგემართება, იცოდე...

— რა გითხრა იცი, ჩემო მარიამა: ბეერჯელ მითხოვია შენთვის და ახლაც დედაშვილობით გთხოვ, რომ თავი დამანებე და მაგისთანა ლაპარაკით ნუ მაწუხებ ტყუილ-უბრალოდ. გითხარი და გავთავე, რომ არას გზით ჩემი გათხოვება, ;არ შეიძლება. ჩემს საცოდავს ობოლს ვერ ავალოდ სხვის კარად და ამდენი ხნის ნაწვავ-ნადავის სახლის კერას ვერ ჩავანელებ; როცა უფრო ახალი დაქვრივებული ვიყავი და, უფრო ახალგაზდაც, მაშინ არ გავთხოვილვარ, თორემ დღეს ჩემი დიმიტრია ათის წლის ბიჭი მყავს და, თუ ამ ხუთს წლიწადს არ შეეუშინდი ოჯახის მძიმე

გამგეობა „ᲨᲣᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘᲡ“ ამხანაგობისა ამით აცხადებს, რომ წევრთ ამხანაგობისამ უნდა წარმოადგინონ შემდგი საწევრო გადასახადი ამ მდგომარე თვის დამდეგამდე.

ადრესი: Въ контору Товарищества „Посредникъ“.
(3—1)

ხუთშაბათს, 9 ივნისს
მისეიდის ბაღის საზაფხულო სტენაზედ ქართული მაკალობელთა სორო ბ-ნ რატილის დოტბარობით გაკმპრთაკეს

კონცერტს.

შესრულებული იქნება ხოროს მიერ:

I

„ცხენოსნური“, „სალამს ვიძღვნი“, „ორთავ თვალის“, სოლოს შეასრულებს ხოროს აკომპონიმენტ. ბ-ნი ი. რატილი. „ახ! მეზურნე“, „ვის რა უნდა“, „დიდება“ სოლოს შეასრულებს ხოროს აკომპონიმენტით ბ-ნი ი. რატილი.

II

„გალიაში“, „მიდის გემი“, „ეს ბაღი“, სოლოს შეასრულებს ხოროს აკომპონიმენტით ბ-ნი ი. რატილი. „ნანა“, „შევსდგთ ხელადით“, „გაიფურჩქნა“ სოლოს შეასრულებს ხოროს აკომპონიმენტით ბ-ნი ი. რატილი.

III

,,საშოვნელს ნაშოვნი სჯობია''

ვოდევილი 1 მოქ. ვ. გუნიასი
მოთამაშენი: ქ-ნი ნენიერიძისა, ბ-ნნი აბაშიძე და ადამიე.

IV

„ჭონა“, „ლაქვარდ ცაზედ“, შეასრულებს ხოროს აკომპონიმენტით ბ-ნი ი. რატილი „მგზავრული“, „მარში მგალობელთა“, „დილა“, სოლოს ხოროს აკომპონიმენტით შეასრულებს ბ-ნი რატილი.

ბაღში 7 საათიდამ დაუკრავს სამხედრო მუსიკა.

კონცერტი დაიწყება $8^1/_2$ საათზედ.
(2—1)

ტფილისი, 8 ივნისს

—

სამი-ოთხი წელიწადი იქნება სწორედ მას შემდეგ, რაც ქუთაისში ექიმმა სამსონ თოფურიამ სამკურნალო და საავადმყოფო დააარსა... ვინც მიიდეს სახეში ერთის მხრით დიდს სარგებლობას და შედავათს. რაც ამ სამკურნალომ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთ მოუტანა, და მეორეს მხრით იმ ხელ-მოკლეობას, რომელიც წინამძღვრობდა ბ-ნს თოფურიას, —ადვილად მიხვდება, თუ რა ძნელი და გასაჭირი უნდა ყოფილიყო თოფურიასათვის ამ მშვენიერის აზრის განხორციელება!... მაგრამ მისმა დაუდალავმა მხნეობამ, მისმა მეცადინეობამ და პირადმა ნდობამ საზოგადოების მხრით, შეაძლებინა სისრულეში მოეყვანა თავისი წადილი!..

ამ საქმეს დიდის თანაგრძნობით მიეგება მთელი საზოგადოება და შეძლებისა გვარად არ დაუშურავს თავისი მცირედი წვლილი შეეწირა მისთვის, რომ ამ გვარად გამოეთქვა ბ-ნ თოფურიასათვის ის მადლობა, რომელიც ყოველს მათგანს გულის ფიცარზე აქვს ამოუშლელად დაწერილი!..

ამ უკანასკნელ წლებში ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის მორიგი კრება დიდის სიამოვნებით აძლევს ხსენებულს სამკურნალოს ას თუმნობით და მომავლისთვისაც ჭვირდება თავის თანაგრძნობას...

გარდა ამისა ამგვარსავე თანაგრძნობას უცხადებენ ზოგიერთნი კერძო კაცნიც, როგორც, მაგალითებრ, უგანათლებულესი თავადი მენგრელი-სა და სხვანი...

მაგრამ განსხვავებული თანაგრძნობა ადამიანნი ერთმა ქართველთაგანმა, რომელიც სხვა-დასხვა მიზეზთა გამო კარგა ხანია გარდახვეწილია თავის სამშობლოდან. ჩვენ ვამბობთ თავად თენგიზ დადეშკელიანზე, რომელმაც შესწირა ბ-ნ თოფურიას სამკურნალოს 10,000 მანეთი...

ეს ყველაზედ უფრო სასიამოვნოა, რადგანაც ეს მაგალითი უფრო ცხადად ამტკიცებს, რომ ქართველი სადაც უნდა იყოს—მაინც ქართველი რჩება და მისს მკერდს ქვეშ სძგერს ის ძვირფასი გული, რომელითაც ჩვენს ძველებს თავი მოჭქონდათ და რომელზედაც ჩვენი მომავალი არის დამყარებული!..

ვინც მიიდეს თავის თავზედ ცოტა-ოდენ შრომასა და თვალს გადავალებს ჩვენს ცხოვრებას ამ უკანასკნელ 10—15 წლის განმავლობაში, ისს არ გაუძნელდება ადიარაოს, რომ ჩვენის არსებობის მაჯა, მისუსტებული და, თითქმის, მიმქრალი ამ ხნის განმავლობაში—გამოცოცხლდა, გაძლიერდა და ფერი იცვალა; რომ ერთობის და წინმსვლელობის ნდომამ ჩვენში ფრთები მოისხა და საზოგადო მოდვაწის მიმართ თანაგრძნობამ და მისის დაჯილდოების სურვილმა იმატა.

ამ შეგნებით, არამც თუ ჩვენის სამშობლოს სამზდვრებთ შორის მცხოვრები, ჩვენი მოძმე, არამედ ცხოვრების ტალღებისაგან შორს გატეხილიც-კი გაიმსჭვალა, და ისიც

საზოგადო მოდგაწეთა შველასა და დაჯილდოებას ხმა მაღლა ჰქადაგებს!..

იყო დრო, როდესაც ყოველივე ეს მარტო ლიტონი სიტყვით იხატებოდა და მხოლოდ ამ სიტყვაზედ ვამყარებდით ჩვენს იმედებს, ჩვენს მომავალ მაგრამ დღესკი ეს სიტყვა საქმედ გარდაიქცა.

მართალია, შეიძლება ეს თანაგრძნობა, ეს ჯილდო სხვა ერის თვალში ძალიან მცირედ გამოჩნდეს; ჩვენგან დდემდის გამოთქმული თანაგრძნობა ამ გვარ სამსახურის შესახებ შეუსაბამო მადლობად ჩაითვალოს, მაგრამ დღეს ჩვენთვის, ჩვენის ჰრეველის ნაბიჯისათვის, მეტადრე ხელმოკლეობის დროს, რომელიც ჩვენს ნივთიერძალ-დონეს ჭსახავს,—ეს საკმარისიც არის და სანუგეშოც!..

მენავე

ახალი ამბავი

*** მომავალს ორშაბათს, 13 თებათვეს, ქალაქის გამგეობას ექმნება კრება, რომელზედაც უნდა განიხილონ საქმე ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთათვის დასაწესებელ საპენსიო წესდებისა. ამ ახალის პროექტით უნდა შესდგეს საპენსიო თანხა, რომლისათვისაც ქალაქმა უნდა გადასდოს 5000 მან. და გამოურიცხოს მოსამსახურეებს ჯამგირი თვიურად 6%. ამ წესდების დამტკიცების დღიდგან ჩაერიცხებათ ნამსახურობა ამ მოსამსახურეებს და ძველი დრო სამსახურისა-კი აღარ ჩაეთვლებათ. ქალაქის გამგეობა-კი კერძოდ იმ აზრისაა, რომ არ დაუკარგოთო ეს დროც სამსახურისა. ამ აზრს ქალაქის საბჭოც დასთხმდა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ძველ მოსამსახურეთ გარდაიხადონ წარსულის წლების ყოველ წლიური 6% სამის წლის განმავლობაში. ეს ძველადვე ნამსახურნი ისეც ცოტანი არიან და იმდენად გასაჭირად ხედავენ ამ სარგებლის შეტანას, რომ ამჯობინებენ, თუნდა სულ ნუ ჩაგვითვლით

*** ჩვენ მივიღეთ ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობისაგან გამოცემული ცალკე წიგნად „საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო“ ვ. პოტტასი, თარგმანი ი. ბაქრაძისა. წიგნი შეიცავს 116 გვერდს და ჯღრს ორი აბაზი.

*** გუდავათიდგან მოგვივიდა 20 მან. 10 კაპ. განსვენებულ ე. ნინოშვილის ფონდის სასარგებლოდ და ეს ფული უკვე გადავეცით „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას.“

*** რვა ამა ივნისს, ოთხშაბათს ჯვარის მონასტრის ტაძრის დღეობა არის, რომელიც მდებარეა მცხეთის პირდაპირ, არაგვის გაღმა, გოლგოთას მთაზედ. ამ დღეს მრავალი მლოცველი დადის მონასტერში წირვაზედ, მცხეთიდან, წიწამურიდან, ავჭალიდან და ქალქიდან.

*** საჯავახო და აბაშა (იმერეთი) წლევანდელი მაისი სწორეთ მაისს არა ჰგავდა. ერთ დღეს რომ მშვენიერი, წყნარი ამინდი იყო, მეორე დღეს წვიმა, ქარი და საშინელი ს

რომ ასე მინდოდა და ეს ამბავი, გთხოვთ, არავის დასდოთ ბრალადაო.

*** მიგაქციეთ ქველმომქმედთა ყურადღებას ერთს ოჯახს, რომელსაც შეადგენს დედა თავისის ხუთი პატარა შვილით. ეს ოჯახი სამინელს მდგომარეობაშია, რადგან ცხოვრების საღსარი არსაიდგან არა აქვს; სრულიად უნუგეშოდ, ულუკმა-პუროდ არის დარჩენილი. ვინც ისურვებს რაიმე შემწეობა აღმოუჩინოს, შეუძლიან მიპმართოს ამ აღრესით: ტფილისის 7 ნაწილი, წმიდა მარინეს ქუჩა, სახლი ივნო პარუთინოვისა, №23, სახლობა გ. კ—შვილისა.

ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

—

რამ შეგგრა და რამ შეგბოკა
ეგრე შაკად, ჩემო ბედო,
რამ გუდლ ტანჯულს არსით უჩანს
განთიადი სიამედო,
მაგრამ, ვერ ვდო, ნუ გეგონა:
ბრძოლა აღარ გაგბედდო,
დაეუნებდე და დაგემონა,
მედგრად აღარ ვიმოქმედო!..

დ. მაჩხანელი

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

—

ᲣᲣᲑᲐ, 1 ივნისს. ამას წინად მოგწერეთ, რომ ყუბის მაზრიდგან მუღანოს გადასახლეს ორი თათრის სოფელი: ხუჯი და გოდოგლო და იმათ ადგილას რუსების დასახლება აპირებენ-მეთქი. ეს საქმე დღეს მთავრობამ მოიყვანა აღსრულებაში; ამის გამო 25 აპრილს ყუბის მაზრაში მობრძანდა ბაქოს გუბერნატორი, რომელმაც დაათვალიერა ის თათრის სოფლები, სადაც დღეს აპირებენ რუსების დასახლებას. ბ-ნმა გუბერნატორმა მოახდინა განკარგულება და ბრძანა, რომ, რადგან წინანდელი შენობანი აშენებულია თათრულ გემოვნებაზედ და რუსები ვერ მოახერხებენ იმ შენობაში ცხოვრებასაო, ამიტომ მიწის-მზომელმა, რომელიც ახლდა თან გუბერნატორს, მიუზომა ცოტა ქვემოდ მიწები, რათა რუსებს შეეძლოთ თავის გემოვნებაზედ სახლების აშენება და ბუნების გაყვანა. ამ სოფლებში გადმოსახლებულ იქმნებიან რუსები ხარკოვის გუბერნიიდგან, სულ ორასი კომლი: ასი კომლი დასახლდება ხუჯში, ასიც გოდოგლოში, პირველ სოფლიდამ ოცის ვერსის სიშორეზედ. თითო კომლს მიუზომეს ოც-და-ათი დღიური სახნავ-სათესი და სამაღე მიწები. მთავრობა სოფლებს უშენებს ეკკლესიებს.

თიბათვის თხუთმეტს ყუბის მაზრაში კუსარაში მოელიან ბაქოს გუბერნატორს, რომელიც დარჩება შემოდგომამდე; თან ახლდებიან მოხელენიცა, რადგან კანცელარიაც გადმოტანილი იქმნება აქ.

წლეულს მთელ ყუბის მაზრაში დიდ მოსავალს მოელიან ჭირნახულისას; ვენახებს ისე ასხია, რომ მემამულენი ეხლავე ჭურჭლის მომზადებას შეუდგენენ. თუმცა მარტსა და აპრილში დაგვიდგა დიდი სიცხეები, მაგრამ მაისმა-კი გაგვაგრილა; თითქმის კვირაში სამჯერ მოდის წვიმა. ხეხილსა და ბოსტნეულობასაც კარგი პირი უჩანს; ჯერ-ჯერობით არაფერი სნეულობა არ გაჩენილა აქეთ.

ყოფილნელი თათრებში

ᲥᲕᲔᲛᲝ ᲠᲐᲭᲐ, 27 მაისი. ჩვენსკენ ამ თვის 20-მდე კარგი ტაროსები იდგა, რის გამოც ჯეჯილი მშვენივრად აბიბინდა; ხალხს გულში იმედი დაებადა კარგის მოსავლისა, 20-დგან დადგა ძლიერ წვიმისნი დღეები; აგერ ექვსი დღე გადის და თითქმის განუწყვეტლივ წვიმს, მეტად ცივი დღეები დადგა, გავაჩაღეთ ცეცხლი და ხელ-ახლავ მოვუჯექით ბუხარს. ხალხი სწუხს, რომ ეს დიდი წვიმები ნათესს გაიფუჭებსო, უმეტესად სიმინდს, რომელსაც ეხლავე დაეტყო სიყვითლე. ჭირნახული ეხლა ცოტა აქვთაც გაიაფდა. ამდენს ხანს თუ 2 მან. 50 კაპ. იყო, ეხლა 2 მ. იყიდება, რადგან ტყიბულიდგან ბევრი სიმინდი მოდის.

25 აპრილს მობრძანდა ახალი მაზრის უფროსი ბ-ნი ყიფიანი. მას შემდეგ ჩვენმა მხარემ რაღაცა ფერი იცვალა: მობრძანდა თუ არა, მაშინვე მომრიგებელ-შუამავალთანა, მაზრის ბოქაულთანა და საერო განათლების ინსპექტორთან ერთად დაიარა ყველა საზოგადოება, ორი-სამი საზოგადოება ერთად შეაერთა, ახალი სოფლის მოხელეები აარჩია და ორ-ორ კლასიანნი სასწავლებლები დააარსა ზოგან სახელოსნო და ზოგან სამეურნეო განყოფილებით. მაგალითად, ქვემო რაჭაში ოთხი ორ-კლასიანი სასწავლებელი დაარსდა, რომლის განაჩენი, როგორც სჩანს ბ-ნის ყიფიანის სიტყვებიდგან, მალე იქნება წარდგენილი დასამტკიცებლად ვისთანაც ჯერ არს, და მომავალ ნოემბერ-დეკემბრამდე შეუდგებიან შენობის აგებას. სადაც ერთ-კლასიანნი სასწავლებლები რჩება, მაზრის უფროსი სცდილობს მათი შენობები გააუმჯობესოს და მასწავლებლებისათვის საზოგადოებას ჯამაგირი მოამატებინოს; ჰფიქრობს აკრეთვე დ. ონში დაარსოს სამ-კლასიანი სახელოსნო სასწავლებელი და დედათა სასწავლებელიც. დიდს ყურადღებას აქცევს ამისთანავე ეკკლესიებს და გზებს, ერთი სიტყვით ეხლა ჩვენ მხარესაც დაეტყობა სიფხიზლე, მოეფინება თან ცოტაოდენი სხივი განათლებისა და მით მოიისპობა ნელნელა ცრუმორწმუნეობა.

მგონი არსად არ არის ამდენი უბრალოდ უქმობა, რამდენიც ქვემორაჭაშია: მაგალითად, შუა დიდ მარხვის დღეს აქაური მკვიდრი არ ჰმუშაობს; რომ ჰკითხო მიზეზი, გიპასუხებს: „დღეს შუა მარხვაა, მუშობა არ ვარგა, ყველაფერი ჩვენი, რაც რომ გვაბადია, შუაზედ გაიყოფა, რომ ვიმუშაოთო“. ამ დღეს თითქმის ზოგიერთი თავის ბავშეს სასწავლებელშიაც არა გაჰგზავნის. აღდგომიდგან მაისის დამლევამდე, ნახევარ დროს მაინც უქმობენ. ზოგი „ტეხისობის შაბათი არისო“, ზოგი „ტეხისობაო“, ზოგი ‹კოხინჯრობაო“, თუ ესა და ეს დღე შეწირული ვვაქვსო და არ იმუშავებთო; და თუ რომელიმე მახლობელმა სოფელმა იმუშავა ამ დღეს, მეორე სოფელი აუტყდება, რად არღვევ აღთქმას და შეწირულებასო და აალებინებს ხელს მუშაობაზედ.

მოგეხსენებათ, აქეთ სივიწროვე და სიძვირე არის ადგილების, და რაც ადგილებია, არც ის არის ნაყოფიერი; ამისათვის დიდი მუშაობა სჭირდება გლეხს, რომ თვისი ოჯახობა გამოჰკვებოს და თუ უქმეებსაც გაჰყვა, მაშინ რაღა ეშველება. ამაგბის მოსასპობად არ იქმნება ურიგო, რომ სასულიერო უწყება მიაქცევდეს ყურადღებას. რადგან მღვდელს თავის ვი. გათხოვდიო, შვილო, ნუ გინდა დიმიტრია გლახა ბიჭიაო. სიცილით უთხრა თინიმ და თანაც ხელები შემოჰკრა საცერს:

— მართლა დედა!.. მერე შენ რა უთხარი?

— რას ვეტყოდი! კარგი, არ მინდა დიმიტრია, გავთხოვდებითქო. გამოსაცდელად ელაპარაკებოდა თინია.

— აბა! ტყუილს ამბობ; მერე მე რა მეშველება, ჩემო დედა, შენ რომ გათხოვდე, ვინღა იქნება მერე ჩემი დედა? ხომ მოგკვდები უდედოთ?

-- შენ რა გიპირს? დაგტოვებ აქ და იყავი.

— არა, მე არ მინდა მასე!.. მე შენთან მინდა!.. გულ-დაწყვეტით უთხრა პატარა ბიჭმა.

— ჩემთან რომ გინდა, ვინ დაგაყენებს? მოვა ის კაცი მე წამიყვანს და შენ-კი აქ დარჩები მარტო.

— არ მოვუშვებ, გავლახავ და რითი წაგიყვანს?

— რითი გალახავ, ის დიდია, შენ-კი პატარა და როგორ მოერევი?

— უკაცრავად! მეც დიდი ვარ, აბა შემიმხედე რამსიმაღლე ვარ! შედგა ცერებზე დიმიტრია, და მოაბედა დედა თავისაკენ.

თინია იცინოდა და თანაც თვალებზე ცრემლები მოსდგომოდა შვილის ამ გვარ ლაპარაკის გამო. ის მიუბრუნდა პატარა ბიჭს და მშობლიურის ალერსით უთხრა:

— არა შვილო, ნუ გეშინია, შენი საწყალი დედა შენ არავიზე არ გაგაცვლის და არ დაგტოვებს.

— აბა მატყუებდი, ჩემო დედა? სიხარულით წამოიძახა საბრალო ობოლმა, მივარდა დედას ზურგის მხრივ შემოხვია წელზე ხელები და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ისე ებღაუბოდა.

— მაცალე ბიჭო, შე ეშმაკო, ნუ მანძრევ, თორემ გახეულია ეს საცერი და სულ გაუცრელი ფქვილი სცვინდება; მომცილდი, თორემ გაგლახავ დიმიტრია... ეუბნებოდა დედა, მაგრამ შვილი მაინც არ იშლიდა, უნდოდა კისერზე ჩამოჰკიდებოდა დედას.

— შენ, რომ მომატყუე, რას მერჩოდი? შესტტინებდა პატარა ბიჭი დედას—უნდა გიკბინო ახლა „მაგიერად. უთხრა დიმიტრიამ და შეახტა თინიას კისერზე ხელების მოსახვევად, მაგრამ ისე სწრაფად მოხდა ეს, რომ თინიამ შემოტრიალება ვერ მოასწრო, გადაიზნიქა უკან და საცრით ფქვილი თავზე ვადაეცვიდა დიმიტრიას.

— კარგია ეს?.. ახლა არ უნდა გაგლახო მე შენ, შე ეშმაკო? მაცალე, ქალი არ ვიქნები, თუ დღეს მშიერი არ დაგტოვე. მიაძახა თინიამ შვილს და თან ეცინებოდა, როცა ახლად პირ-დაბანილი და თავ-დასვეულები დიმიტრია, სულ ერთიანად ფქვილში ამოსვრილი, იბერტყავდა ზურგსა და ახალუხის კალთებს.

— მე იმას ვწუხვარ, რომ პირი მეორედ უნდა დავიბანო, თორემ მშიერს არ დამაყენებ კი ვიცი, ჩემო დედა.

— არა, კი არ დაგაყენებ, ღმერთმა ნუ ჰქმნას, როგორ გაკადრებ? შენ იხტუნე, არ დამაცალო გაკეთება და მე შენ მშიერს არ დაგაყენებ; არა, მაგ კალთებს რომ იბერტყავ, თავზე მოისვი ხელი რას გავხარ! დაგიშვენდეს მაგ თავი დაშვენებული ახლა შენ იყო. საფქვილე კასრაში რომ თაგვი ჩავარდება და ამოიგანგლება, სწორედ იმას გავხარ. აი შეგირცხვეს მაგ თავი შე საძაგელო, ბოდიშ-ბოდიშ ეუბნებოდა ბიჭი.

— ეგ ბოდიშ-ბოდიშ ეგ ბოდიშ-ბოდიშ, ეგ ბოდიშ-ბოდიშ, ეგ ბოდიშ-ბოდიშ,

ცხოვრება ქართველთა მწიგნობრობისა და ქრისტიანობის მფარველობისთვის ერთის მხრივ ევდემოსის გავლენას უნდა მივაწეროთ.

Ი. ცხვლოელი

(შემდეგი იქნება)

უცხოეთი

—

ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲐ. სტამბულოვის გაზეთი „Свобода“ გვაუწყებს, რომ მინისტრთა საბჭოში თათბირი ჰქონდათ იმის შესახებ, რა მხრივ არის შესაძლებელი მორიგება რუსეთისა და ბოლგარიისა. ამ ამბავმა ააღელვა მთელი ბოლგარია და ერთმა დეპუტატმა კერძოდ მიჰმართა გარეშე საქმეთა მინისტრს ნაჩევიჩს თხოვნით ამიხსენით რამდენად მართალია ეს ამბავი. ნაჩევიჩმა უპასუხა, რომ აგრე ადვილი არ არის აღდგენა ბოლგარიისა და რუსეთს შორის სადიპლომატიო დამოკიდებულებისა, რადგან ეს დამოკიდებულება შეწყვეტილია სტამბულოვის გამოო. ამას მარჯვე დრო და დიდი სიფრთხილე უნდაო. ამ ჟამად ბოლგარიაში მყოფნი მეგობარნი რუსეთისანი მეგობრულად ეკიდებიან პრინცს კობურგელს და ეს გარემოება დიდად ასიამოვნებს ბოლგარიის მთავრობასაო. თავის მხრივ პრინცმა ფერდინანდმა მტკიცე სურვილი გამოსთქვა, რომ, როცა სამართლიანობა და კონონიერება მტკიცედ იქნება აღდგენილი შინაგან მმართველობაში, მთავრობამ ღონისძიებანი იხმაროს ბოლგარიის და დიდთა სახელმწიფოთა დამოკიდებულების გასაუმჯობესებლადაო. ამ ახლო ხანებში ახალი კრება იქნება ერისა და იგი, ჩემის აზრით, მადლობას განუცხადებს რუსეთს; პრინცი ფერდინანდი კრების დაწყებისათანავე სიტყვას წარმოსთქვამს, რომელშიაც ასეთივე აზრი იქნება გამოთქმული.

„Свобода“ ჰკიცხავს ახალს მინისტრებს, რომ თქვენ რუსეთს ემხრობით, იმისკენ მიგიწევთ გული და რუსეთს-კი ბოლგარიის დამორჩილება, დამონავება აქვს განზრახული. მაგათ ის უნდათ, რომ პრინცი ფერდინანდი განდევნონ და რუსეთის კომისარს ჩაუგდონ ხელში ბოლგარიის ბედ-იღბალიო-

გაზ. „Kölnische Zeitung“-ი ამბობს, რომ ოსმალეთს ძალიან ეწყინა სტამბულოვის სამსახურიდგან დათხოვნის ამბავიო. სულტანს ძალიან ენდობა გული სტამბულოვზედ და პრინცი ფერდინანდი-კი არ მოსწონს. სტამბულოვის დათხოვნის გამო ამ ჟამად ოსმალეთის ბოლგარიაში მყოფ კომისარსა და სტამბოლის მთავრობის შორის დიდი მიწერ-მოწერაა გამართული დეპეშებით.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

—

რადგან ედინბონის ფონოგრაფი პრაქტიკულად ჯერ არაფერსასთვის არის გამოყენებული, ამიტომ ახლა ედისონიეკ ურჩევს მწერალთ, თავანთი თხზულებანი-ეი ადარ დასწერონ ხელმე, არამედ ფონოგრაფში ჩაიდაბარეონ და ტიდინდრები პირდაპირ სტამბაში გადასცენ, სადაც ამ ტიდინდრებს მეორე ფონოგრაფში ჩასდგმენ და ეს თათონ უკარნახებს ამწერთბი. ეს ჩანაბული იქნებოდა და ადვილადაც არის შესასწორებელი, თუ მსჯელობაში არ მიგიღებთ, რომ გაანელებს სიტყვის ენახო ენით დაწერილი სიტყვები, რომლებიც შეიძლება ჩართული იყოს თხზულებაში და ამწერებმა-კი არ იცოდეს იმისი აწერაბა კარნახით, მაშინ როდესაც დწერილიდგან ადვილად გადიდებს, თუნდ სრულიად გაუგებარიც იყოს მისთვის ეს სიტყვა.

**

ამბობენ, რომ მწერალ-კაცი სიზოგადოდ ბევრი არა სწავლობთ, ქონებრივად დიდად ღარიბნი არიანო. მარ-იქით, მწერალი ქალები სულ სხვა მდგომარეობაშია არიან თურმე. ერთი ამერიკელი გაზეთი ამბობს, რომ ქ-ნმა გუიფი უორდმა მიაღო თავის ერის რომანში 160,000 მან., მეორეშიაც—160,000 და მესამეში—80,000 მან. ამ რიგად ამ ქალმა სამს რომანში მიაღო 400,000 მანეთამდე.

**

ქმიდ ზოლა აბარებს, როდესაც რომანს „ლურდს“ დაამაყარებს, დაიწყოს წერა სიფრანგეთის დიტერატურის ისტორიისა და სიყმაწვილო მოთხრობებისა. სახელ-გათქმული მწერალი წინანდებურად დღეში 4—6 საათს მუშაობს.

**

ბერლინში ამ ჟამად ქუჩა-ქუჩა დადის დიდრონი პოეოსკები, რომლებიც ოთახებად არის დაკეთებული და აკეთეთ მოწეობილი: სასტუმრო, საწოლი ოთახი, სასადილო, ბუდუარი, სამეშო კაბინეთი და სხვ. ეს ოთახ-პოეოსკანი იზიდავს აკეთილ ყოფილ მსურველთ და კეთილებზედ დიდრონის ასოებით გამოცხადებულია გეკარი აკეთილ ქარხნის პატრონისა. პოეოსკებს თან დასდგეს მრავალი უსაქმო ხალხი, რომელთ წყალობით საზოგადოებს უფრო მეტს უყურადღებას აქცევენ ამ მოსაირულ განცხადებს.

დეპეშა

4 ივნისი

ᲕᲔᲜᲐ ფრანცისკას ქვა-ნახშირის მაღაროში რამდენჯერმე მოხდა აფეთქება და შიგ მყოფი მუშანი დახოცა; როდესაც ხალხი ჩავიდა განსაცდელში მყოფთა გადასარჩენად, კვლა იფეთქა წამალმა, რომლისა გამოც ეს ახლად ჩასულებიც დაიღუბნენ. ამ უბედურების მსხვერპლი 200-მდე კაცია.

ᲡᲝᲤᲘᲐ. ახალმა მთავრობამ თავისუფლება დაუბრუნა 60 ადამიანს, ამ რიცხვში ერთს დედაკაცსაც. უწინდელ მთავრობის დროს ესენი დაპატიმრებულნი იყვნენ საადმინისტრაციო წესით. დანაშაული ეპატია აგრეთვე 15 გამომცემელსა და პასუხის-მგებელს რედაქტორს, რომელთაც ის ბრალი ედებოდათ, რომ მთავრობის საწინააღმდეგო წერილები დაებეჭდათ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. მემკვიდრე ცესარევიჩი აქ მოსცელისას მცირეოდენს ხანს უელსის პრინცსა და პრინცესასთან გაატარებს, ხოლო შემდეგ გალტონს წავა.

5 ივნისი

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. გამოცხადებულია ის წესები, რა წესითაც უნდა გაიცეს სესხი პურსა და სხვა სამეურნეო იარაღზედ.

გარდაიცვალა ცნობილი მხატვარი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე გე.

ᲠᲝᲛᲘ. გუშინ იმ ეტლს, რომელშიაც კრისპი იმყოფებოდა, ვიღაც უცნობმა ყმაწვილმა კაცმა რევოლვერი ესროლა; ეს უცნობი აღმოჩნდა რომანიელი ანარქისტი ლეგა. პალატა და საზოგადოება დიდის თანაგრძნობით და პატივით დაუვიდა კრისპის; მეფე და მემკვიდრე პრინცი იყვნენ იმასთან და მიეულოცეს განსაცდელიდგან გადარჩენა; ყველა გაზეთები, მიმართულების განურჩევლად, ჰკიცხავენ მოქმედებას ანარქისტისას.

6 ივნისი

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ინგლისისა, საფრანგეთისა და ისპანიის ელჩებს მიეწერათ, რომ ამბიულ-ახიზი მაროკოს სულტანად აღიარეთო.

ᲑᲝᲜᲒ-ᲙᲝᲜᲒᲘ. ამ ჟამად ჭირისგან დაიხოცა 1900-მდე კაცი; ქალაქიდგან გაიხიზნა 80,000 სულამდე; დაჭირიანებულს უბნებში არავის უშვებენ.

7 ივნისი

ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲐᲨᲘ. საიმპერატორო იახტამ „Полярная звѣзда“-მ, რომელზედაც იმყოფებოდა, მემკვიდრე ცესარევიჩი, დღეს, დილის 4 საათსა და 30 წუთზედ, გაიარა ჰელზინგერზედ და ინგლისისაკენ გაემართა.

ᲠᲝᲛᲘ. კამერგერმა იზვოლსკიმ დღეს თავისი რწმუნების ქაღალდები წარუდგინა პაპის. იზვოლსკის ვატიკანში მიეგებნენ პაპის უწარჩინებულესნი კარის-კაცნი. დარბაზობამ ერთს საათამდე გასტანა. შემდეგ იზვოლსკი კარდინალ რამპოლისთან იყო დარბაზად.

ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲢᲘ. უნგართა პალატამ შეიწყნარა რუსეთ-ავსტრიის სავაჭრო ხელ-შეკრულობა.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

	ᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘᲡ.	ᲒᲐᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘᲡ.	ᲒᲐᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘᲡ.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	7 1/49	7 1/51	— ,,
ტამბოვნის კუპონები	149 3/4	150 3/4	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული,	— ,	— ,,	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	247
—მეორისა	— ,,	— ,,	226
4% მესამე სესხისა	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავადაზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი	— ,,	— ,,	190 1/2
ვარაგნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%	— ,,	— ,,	102
5%	— ,,	— ,,	100 1/2
ქუთაისის ბანკის 6%	— ,,	— ,,	102
5%	— ,,	— ,,	100 1/2
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	99 3/4	— ,,	— ,,

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲜᲐᲒᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

ᲓᲘᲚᲘᲗᲝᲑᲘᲗᲘ:

Ა. Ს. ᲜᲐᲒᲐᲢᲘᲜᲐᲜᲘᲐ, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირის სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

Დ. Მ. ᲩᲘᲭᲝᲕᲐᲜᲘ, 9—11 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

Დ. Გ. ᲠᲣᲓᲖᲘᲜᲐ, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

Ო. Ფ. ᲑᲠᲐᲜᲪᲕᲐᲜᲘᲩᲘ, —11 1/2, —12 1/2 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ᲥᲐᲛᲐ ᲥᲐᲚᲘ Ს. Მ. ᲢᲣᲠᲑᲝᲖᲐᲜᲘᲩᲘ. 12 1/2—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

Ს. Შ. ᲒᲐᲠᲐᲯᲘᲢᲝᲕᲘᲩᲘ, 1—1 1/2 საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

ᲡᲐᲓᲐᲛᲝᲛᲝᲑᲘᲗᲘ:

Ს. ᲒᲣᲠᲯᲐ, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

Ბ. Ს. ᲜᲐᲒᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ, 7—7 1/2 საათამდის.

Ე. Ო. ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲣᲡᲘ, 7—7 1/2 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

ᲓᲐᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲡᲘᲛᲦᲐᲠᲜᲐᲚᲝᲡᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡᲘᲡ ᲜᲐᲒᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ.

—

ავქალის ქუჩის დასაწყისში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, საგინაშვილის ქვრივის სახლში, № 21, „იევრეის“ რედაქციის გვერდით, პირველ იანვრიდამ იძლევა ქირით სარდაფი თავის გამართულობით ანუ გაუმართავად. მსურველს შეუძლიან ფასი ჰკითხონ „იევრეის“ რედაქციაში მაქსიმე შარაძეს.

(10—1)

—

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აუწყებს, რომ 13 ივნისს 1894 წ. დღისით 12 საათზედ, დანიშნულია საჯაროდ იჯარით გაცემა ბორანისა, რომელიც მეტრანის ქუჩის და რიყეს შუა არის გაკეთებული, 1 იანვრიდგან 1895 წლიდგან 3-ის წლის ვადით. პირობების შეტყობა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში დილის 10 საათიდგან 12 საათამდე. (3—3)

ᲘᲖᲕᲔᲡᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲗᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ

ᲒᲚᲘᲪᲔᲠᲘᲜᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲚᲘ

ᲓᲐ ᲡᲐᲛᲠᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲚᲘᲡ

ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ

ᲒᲘᲠᲩᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ

ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲠᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲚᲘᲡ

ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ

ᲑᲠᲝᲙᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲝ

ᲛᲝᲜᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ

ᲛᲐᲒᲐᲖᲘᲜᲐᲮᲗ

ᲠᲣᲡᲘᲗᲘᲡ ᲘᲛᲞᲘᲠᲘᲘᲡ

ᲒᲘᲠᲩᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ

ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲠᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲚᲘᲡ

ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ

ᲑᲠᲝᲙᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲝ

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲛᲑᲠᲘᲙᲘ ᲛᲡᲠᲝᲚᲓᲚᲘᲗᲘᲡ ᲗᲮᲝᲕᲡ ᲘᲛᲘᲗ, რომელთაც ჰსურთ და ნება აქვთ იჯარით აიღონ დრუტინისთვის საჭირო ხორაგეულობის მოტანა, ესე იგი ხორცისა, კარტოფილისა, ხახვისა, მარილისა და სხ. რაც-კი მოუნდებათ დრუტინის საჭმლისთვის, აგრეთვე ნავთისა 1 ოქტომბრიდგან 1894 წ. 1 ოქტომბრამდე 1895 წ. დრუტინა დგას გორში.

განცხადება გამოგზავნონ დაბეჭდილს კონვერტში 20 ივნისამდე ქ. გორში.

ვაჭრობა მოხდება განუმეორებლად 21 ივლისს, დილის 10 საათზედ, გორში, დრუტინის კანცელარიაში, სამეფო ქუჩაზედ, ალექ. ლომბარაშვილის სახლში. დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება კანცელარიაში. (3—2)

გამოვიდა ᲯᲔ ისყიდება

ᲕᲘᲚᲔᲚᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

ახალი ბროშურა კარიკატურებით

ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲠᲐᲛᲔᲠᲣᲛᲔ

ფიქრი და შენიშვნანი

პატრა კაცისა

ფასი ერთი აბაზი

„ᲬᲔᲠᲘᲡ-ᲬᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ“

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

ისყიდება შემდეგი წიგნები:

	მან.	კაპ.
ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . .	„	40
ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . .	„	90
გეომეტრია II მ. ყიფიანისა	„	50
ისრამიანი..	1	50
თხზულ. რ. ერისთავისა I	1	„
თხზულ. რ. ერისთავისა II	„	40
კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა	„	10
კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა	„	30
იგივე მშვენიერის ყდით .	„	80
მოთხრობანი ვაჟა-ფშაველისა.	„	30
შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა	„	20
პატარა მოამბე II ალ. მირანაშვილისა . . .	„	10
რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. .	„	30
რუხი მგელი გ. წერეთლისა	„	15
ქილილა და დამანა . .	3	„
შალვას თავვდასავალი ცახელისა	„	15
ცვარი შ. მღვიმელისა .	„	30
წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . .	„	15
ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ.	„	30
ხატაური ან. თუმანიშვილისა.	„	10
კონა ი. გოგებაშვილისა .	„	50
კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილი ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა .	„	40
შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . .	„	5
ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა.	„	20
ლექსები ვახტ. ორბელიანისა	„	20

Дозволено цензурою Тифлисъ, 7-го Іюня 1894 г. ᲡᲢᲐᲛᲑᲐ Მ. ᲨᲐᲠᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲚᲐᲑᲠᲘᲡᲐ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ-ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.